
ჭოველიძის ქ. №8

(შენობისა და მიმდებარე განაშენიანების ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)


საპროექტო შენობა ისტორიული ვერეს ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა სოფლური ტიპის დასახლებას. სოფელი ვერე თბილისის გარეთუბანს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა. 1860-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს ისტორიული გარეთუბნის განაპირა, მეჩხერად განაშენიანებული დასახლების ათვისება. 1880-იანი წლების დასაწყისში ქალაქის განვითარებამ "მოსკოვის ზასტავას" (დღევანდელი რუსთაველის მოედნისა და ძმები კაკაბაძეების ქუჩის მიდამოებს) მიაღწია. ამ პერიოდიდან სოფლები ვარდისუბანი და ვერე ქალაქს შეუერთდა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვის ქუჩასა და ვაკეს შორის მოქცეული ტერიტორია უკვე საბინაო მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი არეალი ხდება.




1910-იანი წლების თბილისის პანორამის ფრაგმენტი. ხედი ვერაზე.

1890-1900-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი ახალ განაშენიანებას ვარდისუბნის ტერიტორიაზე - კოსტავას (ყოფილი ოლღას) და მელიქიშვილის (ყოფილი

წყნეთის) ქუჩების მიმდებარე ქუჩებზე ისევე, როგორც ზედა ტერასებზე ორ-სამსართულიანი შემოსავლიანი და კერძო პირთა საცხოვრებელი სახლები აშენდა. ოლღას ქუჩის მიმდებარედ ქუჩების მეტ-ნაკლებად რეგულარული ქსელი ჩამოყალიბდა. დღევანდელი ჭოველიძის ქუჩა XIX საუკუნის 60-იანი წლებში ჩაისახა. თავდაპირველად მას აგურის ქუჩა ერქვა აქ არსებული აგურის ქარხნების გამო. 1911 წლიდან ბელინსკის ქუჩა ეწოდა (ბელისნსკის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად). 1990-იან წლებში მის ქვედა - კოსტავასა და ზანდუკელის ქუჩებს შორის მოქცეულ - მონაკვეთს თამარ ჭოველიძის სახელი დაერქვა.



1867 წლის თბილისის რუკა



1902 წლის თბილისის რუკა

თბილისის 1867 წ. გეგმაზე ვხედავთ, რომ ვერეს ტერიტორიაზე უკვე გაქვალულია კოსტავასა და მელიქიშვილის წინამორბედი ქუჩები, ხოლო ამ მთავარი ღერძების გარშემო განაშენიანება მხოლოდ ჩანასახოვანია. ვერის უბანს ჯერ არა აქვს ჩამოყალიბებული ურბანული სახე. 1902 წლის რუკაზე კი სურათი უკვე რადიკალურად შეცვლილია და თითქმის ყველა ქუჩა ჩამოყალიბებულია - აგურის (დღევანდელი ბელინსკის) ქუჩა, აგურის შესახვევი (დღევანდელი ბაქრაძის ქუჩა) და ბაქრაძის ქუჩასთან დაკავშირებული ჩიხების ქსელი თითქმის უცვლელად შეესაბამება დღევანდელს.

ბუნებრივი ლანდშაფტი კვალს ამჩნევდა ახალ უბნებსაც – ოლღას და წყნეთის ქუჩების პირზე ჩამწკრივებული შენობების უკან განლაგებული მიკროუბნის ურბანულ სპეციფიკას წითელი ხაზის გასწვრივ განვითარებულ განაშენიანებასთან ერთად, ვიწრო გასასვლელებითა და აღმართებით დაკავშირებული სახლებიც განაპირობებდა.



ჭოველიძის ქუჩა.

ქუჩაზე განლაგებული შენობების უმეტესობა, რომელიც დღემდე განსაზღვრავს მის ისტორიულ-არქიტექტურულ სახეს, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულებისაა. სივრცით სტრუქტურას კი ორ-სამსართულიანი სახლები ქმნიდა, რომელთა შორის ერთსართულიანი სახლებიც არის ჩართული. განაშენიანების ამგვარი სტრუქტურა – შენობების განსხვავებული სიმაღლეებისა და სივრცითი პაუზების მშვიდი მონაცვლეობა –

უკანასკნელ ათწლეულებამდე იყო შენერჩუნებული და საკვლევი ურბანული გარემოს მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჭოველიძის ქუჩის მასშტაბი არ იძლეოდა აქ მაღლივი კორპუსების აგების საშუალებას, შეუსაბამო ახალშენები აქ მაინც გაჩნდა – 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ჭოველიძის ქ. №6 კორპუსის მშენებლობა, რომელიც სულ ეხლახანს დასრულდა. ცხრა სართულიანი სახლი ჭოველიძის ქუჩაზე ნახევარწრიული ფასადით და წრიული ბოლო სართულით გამოდის. მხატვრულად გაუმართლებელია, როგორც საერთო მოცულობის სწორკუთხა პროფილებით დანაწევრება, ისე დეტალები, როგორიცაა ლითონის აივნების მოაჯირებში გამოყენებული გირლანდების დეკორი, რიკულები, "ქოლგისებური" კარნიზი და სხვა. ნაგებობა უსწრაფეს მოგებაზე გათვლილ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. ის ჩაჭედილა ვიწრო და მცირე სივრცეში. პირწმინდად უგულვებელყოფილია ტერიტორიის გამწვანება. შენობის საერთო მასა შემოჭრილია ქუჩის წითელ ხაზში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მას.



ჭოველიძის ქ. №6.



ჭოველიძის ქ. №8-12.

რაც შეეხება საკვლევ ნაგებობას ის უკვე წამოწყებული პროცესის გაგრძელებაა. არქიტექტურულად აქ ელემენტარული ბლოკური მასების ურთიერთმორგებას ვხედავთ, თუმცა შენობა სადაა და მისი ფორმები ნეიტრალურია. მთავარი ფასადი დანაწებრებულია მარტივი ჰორიზონტალური სარტყელებით, რომლებიც სართულშუა გადახურვებს მონიშნავს და სადა სწორკუთხა ღიობებთ არის დაცხრულული.



ჭოველიძის ქ. №8 და მიმდებარე შენობები.

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გაზრდილია მეორე სართულის კრონშტეინების საშუალებით ქუჩის ზითელ ხაზზე გამოტანის საშუალებით. ამასთან ბოლო სართულები კორპუსის გარე კონტურის სიღრმეშია შეწეული, რის გამოც ისინი ახლო ნამძილიდან აქტიურად არ აღიქმება. ზემოთხსენებული, მეზობელი შენობისგან განსხვავებით, საპროექტო ნაგებობის არქიტექტურული გადაწყვეტა მისაღებია თავისი სისადავითა და ნეიტრალურობით.

ეზოსკენ გამავალი ზურგის ფასადიც სადაა და დანაწევრებულია კორპუსის საერთო მასაში ჩაშენებული აივნებითა და კარების სწორკუთხა ღიობების თანაბარი რიგებით. შენობის მთავარი ფასადი შელესილია, ეზოს ფასადი კი ჯერ ნაწილობრივ შეულესავია. ტორსოს ფასადი სრულიად სადაა და მეზობელ, დაბალსართულიან განაშენიანებას ესაზღვრება.



ჭოველიძის ქ. №8 – ზურგის ფასადი.

საკვლევ შენობას, მის გვერდით მდგარ №6 სახლს და მათ უკან, განაშენიანების სიღრმეში განლაგებულ "ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისს საერთო ეზო აქვთ, რომელიც არსებითად მხოლოდ მანქანების სადგომად გამოიყენება. ეზო კეთილმოუწყობელია და არ წარმოადგენს შენობის სტრუქტურის გეგმარებითი ელემენტს, რაც ასე დამახასიათებელი იყო თბილისისათვის.

ამგვარი ტენდენცია – ქალაქის საკვანძო არეებისა და ვიწრო ქუჩების მაღლივი კორპუსებით „დაპყრობისა" ამცირებს ქალაქის სწორი ურბანული გზით განვითარების პოტენციალს (უგულვებელყოფილია ფეხითმოსიარულეთა სავალი

გზა, გამწვანება, შიდა ეზოებისა თუ სათამაშო მოედნების შექმნის შესაძლებლობა, შეფერხებულია ტრანსპორტის მიმოსვლა, და მრავალი სხვა).

ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ვერის ზედა ქუჩების სატრანსპორტო დატვირთვა. ჭოველიძე-ბელინსკის ქუჩის სივიწროვის გამო სამანქანო მიმოსვლა დღეს უკვე გართულებულია.



ჭოველიძის ქ. №8 და მიმდებარე განაშენიანება.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო შენობა ბოლო წლებში აგებული მრავალსართულიანი ნაგებობაა. იგი წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, რომლის პირველი სართული მაღაზიებს დაეთმობა. ნაგებობის მშენებლობა ჯერ არ არის დასრულებული. მიმდინარეობს ფასადების შელესვა და სისრულეში მოყვანა. შენობის მთავარ ღირსებას სისადავე და „არააქტიური“ არქიტექტურული ფორმები წარმოადგენს, რომლებიც ნეიტრალურად აღიქმება და არ ტვირთავს სივრცეს.

შენობის დასრულების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს სამშენებლო ხარისხს და შენობის საფასადო სიბრტყეების დამუშავებას. არასასურველია ფასადის დეტალებით გადატვირთვა: ფასადთა დამუშავებისას ისეთი ელემენტების გამოყენება, როგორიცაა მიმდებარე ახლადაგებული კორპუსის მცენარეული დეკორით გაფორმებული თუჯის აივნები, რიკულები და სხვა. მისაღებია სადა, ნეიტრალური ფორმები.

ობიექტის ფერის შერჩევა მიმდებარე განაშენიანების მახასიათებლების მიხედვით უნდა განისაზღვროს, სადაც ცივის და თბილის ჩამქრალი ტონები ჭარბობს.

მნიშვნელოვანია, რომ მოწესრიგდეს შენობის ქუჩისპირა ნაწილი და კეთილმოეწყოს ეზო.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი